

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურა მინდორაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ჩემო ამომრჩეველებო, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა მოგიხადოთ ჩემი არჩევისთვის სოფლის მაჟორიტარ დეპუტატად და ანგარიში ჩაგაბაროთ რისი ვალდებულებაც თქვენ მე დამაკისრეთ.

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე და ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესაწარი საკრებულოს და ფრაქციის ყველა სხდომებს, ვთავმჯდომარეობდი კომისიის 7 სხდომას, სადაც გატანილი იყო 14 საკითხი. აგრეთვე მონაწილეობას ვღებულობდი საკრებულოს ბიუროს სხდომების მუშაობაში, სადაც აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციებს.

ამჟამად, როგორც იცით სოფელ ბოდბეში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელში სასმელი წყლის მოსახლეობისადმი 24 საათიანი მიწოდების ცენტრალური წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები. ზურაბაანთ უბანში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ცენტრალური გზიდან, რამოდენიმე უბანამდე მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია-მოხრეშვა და სანიაღვრეების გაკეთება. მოხდა ბუნებრივ წყაროების გაწმენდა - რეაბილიტაცია, ზ. ბოდბეში დასრულდა წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია. რის შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას მოუგვარდა წყლის პრობლემა და უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს. მომალი წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების ფონდიდან დაფინანსდება და დაიწყება ოლეზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა.

პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის მერიის ჩართულობას, ბატონ მალხაზ ბეგიაშვილს, ასევე საკრებულოს ჩართულობით ბატონ დავით ჯანიკაშვილს.

ამჟამად ვმუშაობთ სოფელ ბოდბის დამისამართებელი ქუჩების სახელდების საკითხზე, რაზედაც გადაწყვეტილება თქვენი ჩართულობით იქნება მიღებული.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას გამოცხადებული ნდობისთვის, დარჩენილ საარჩევნო სამ წელს თქვენი თანადგომითა და ჩართულობით შევძლებთ სოფლის პრობლემური საკითხების გაუმჯობესებას.

ზურაბ მინდორაშვილი